

N 116-20
11/02/2020

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და
შესყიდვების სამსახურის უფროსს დავით გაბუნას
ამავე სამსახურის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების
უფროსის ვანდა გიორგაძის
მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

წარმოგიდგენთ, ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სახელმწიფო შესყიდვების შესრულების შესახებ ანგარიშს.

ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა დამტკიცდა 2019 წლის 15 იანვარს ვანის მუნიციპალიტეტის მერის N20 45 ბრძანებით და განისაზღვრა 3548598 ლარით. 2019 წლის განმავლობაში გეგმაში შეტანილი ცვლილებების განხორციელების შედეგად 2019 წლის 26 დეკემბრის მდგომარეობით სახელმწიფო შესყიდვების გეგმამ შეადგინა 10 202 764ლარი. მათ შორის: საკუთარი სახსრებიდან შემოსულობები -1364280 ლარი; მიზნობრივი ტრანსფერი- 279580 ლარი; საქართველოს მთავრობის N13 განკარგულებით 460000 ლარი; N45 განკარგულებით 577000 ლარი; N136 განკარგულებით- 2217825 ლარი; N480 განკარგულებით- 7315 ლარი; N506 განკარგულებით-6959 ლარი; N554 განკარგულებით-112575 ლარი; N557 განკარგულებით - 101504ლარი; N986 განკარგულებით 173477 ლარი, N1401 განკარგულებით 70514ლარი; N1409 განკარგულებით 69247ლარი; N2367 განკარგულებით 102321 ლარი; N2577 განკარგულებით 3830654 ლარი; N2712 განკარგულებით 649246ლარი. 2018 წლის ნაშთი 180267 ლარი.

2019 წლის განმავლობაში ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებული იყო 89 ელექტრონული ტენდერი. აქედან: არ შედგა 28; უარყოფითი შედეგით დასრულდა 2; შეწყდა 1; გამარჯვებული გამოვლენილი იქნა 53 შემთხვევაში, რის საფუძველზეც გზების, შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების, საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე გაფორმდა ხელშეკრულებები ღირებულებით 4 904 244 ლარი.

გამარტივებული შესყიდვის წესით გაფორმდა 129 ხელშეკრულება.

მათ შორის: მონეტარული ზღვრების დაცვით 74 ხელშეკრულება საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე, ღირებულებით 80409 ლარი.

გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს SMP მოდულის მეშვეობით მიღებული თანხმობის საფუძველზე გაფორმდა 17 ხელშეკრულება ღირებულებით 1 391 578 ლარი.

კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით გაფორმდა 8 ხელშეკრულება.

სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურებაზე 113546 ლარი; საბეჭდი ქაღალდის შესყიდვაზე-5885 ლარი; კომპიუტერული მოწყობილობების და აქსესუარების -2209 ლარი; საბურავების -2160 ლარი; სატელეფონო მომსახურების- 23600 ლარი; ავტომანქანების ძრავის ზეთის-1082 ლარი.

კონსოლიდირებული ტენდერების სატენდერო კომისიის ნებართვების საფუძველზე საწვავის შესყიდვის მიზნით გაფორმდა 12 ხელშეკრულება ღირებულებით 137304 ლარი.

სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებები (სოფლის მხარდაჭერის პროგრამა) -15 ხელშეკრულება ღირებულებით 561264 ლარი.

ვანდა გიორგაძე



მეორადი სტრუქტურული ერთეული ხელმძღვანელი

შესყიდვების განყოფილება